

პროფ. პირიძე

ფუძის რედუქცია როგორც ჭირადების
მეორეარისეობანი ზევრის გაფორმების საშუალება

ფუძის რედუქციაცია ახალი სიტყვის წარმოქმნის ერთ-ერთი საშუალებათაგანია. იგი გულისხმობს სიტყვის ფუძის ან მისი ნაწილის გაორეცხვას და გამოხატავს სხვადასხვა გრამატიკულ კატეგორიას: უმთავრესად კი გამოყენებულია მორფოლოგიურ საშუალებად (ინდოევროპულ ენებში, ამერიკისა და აფრიკის ენებში... მაგ. ლათ. do — „ვაძლევ“, dedi — „მივეცი“...). ზოგ ენაში გამოიყენება მრავლობითი რიცხვის ან სხვა გრამატიკულ კატეგორიის გამოსახატავადაც¹ (ასე, მავალითად, მაღაიურ ენაში orang არის „აღამიანი“, orang-orang — „ადამიანები“, „ხალხი“, kup — „ქვეყანა“, kup-kup — „ქვეყნები“²).

რედუქციაცია აგრეთვე წარმოადგენს სემანტიკურ საშუალებას (ქართულში, აფხაზურში, სომხურში...). ფუძის რედუქციაციით შეიძლება აღნიშნოს შედარებითი ხარისხის ფორმებიც³.

სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ „დასაწყისში რედუქციაციის შინაარსი სიმრავლე-მრავალგზისობა-ინტენსივობის გამოხატვა უნდა ყოფილიყო. აქედან ის ზოგჯერ თითქოს სულ საწინააღმდევო მნიშვნელობასაც იჯუებს“⁴.

„აფხაზურში ძირთა რედუქციაცია — როგორც ეს აღნიშნული აქვს ქ. ლომთათიძეს — ერთი ყველაზე უფრო დამახასიათებელი გრა-

¹ ვ. თოფურია, შშობლიური ენის სწავლების საკითხები საშუალო სკოლაში, II; ენის ლექსიკური შემატგენლობა, კრებ. „ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხები სკოლაში“, IX, 1956, გვ. 22.

² А. А. Реформатский, Введение в языкоковедение, М., 1976, с. 287.

³ Р. Булагов, Введение в науку о языке, М., 1958, с. 228, 265.

⁴ ქ. ლომთათიძე, რედუქციაციის ფუნქციებისათვის აფხაზურში, ენობრის მთამბე, V—VI, 1940, გვ. 115.

მატიული მოვლენაა. რედუპლიკაციით იქ გამსჭვალულია როგორც
მორფოლოგის, ისე სემასიოლოგის უბნები⁵.

მკვეთრად გამოხატულია რედუპლიკაციით სუბიექტის ან ობიექტის მრავლობითობა „თუ ზმნას ობიექტი (ერთპირიანებში — სუბიექტი) მხოლოდითს რიცხვში აქვს, მაშინ ჩვეულებრივს, ურედუპლიკაციონ სახეობას იყენებს, როგორც კი ეს ზმნასთან დაკავშირებული სახელი მრავლობითის გაგებას მოვცემს, მაშინვე ზმნის ძრი გაორკეცებულად წარმოგვიდგება“⁶.

ქართულში განსაზღვრებად გამოყენებულ ზედსართავ სახელთა რედუპლიკაციით გამოხატულია თვისების ისეთი ინტენსივობა, რომელსაც „საკმაოდ“ სიტყვით გამოვხატავთ: თხელ-თხელი (=საკმაოდ თხელი), მაღალ-მაღალი (=საკმაოდ მაღალი), შავ-შავი (=საკმაოდ შავი), ხმელ-ხმელი (=საკმაოდ ხმელი)...

ამასთან ერთად, ფუძის გაორკეცება, „ერთგვარ მაგივრობას სწევს რიცხვის გამოხატვის საქმეში“⁷ და, მართლაც, თხელ-თხელი, მაღალ-მაღალი, შავ-შავი, ხმელ-ხმელი, მოკლე-მოკლე... მრავლობითობის გაგების ნიუანსითაა შეწყობილი საზღვრულობან, რომელიც, ჩვეულებრივ, მრავლობით რიცხვში დაისმის:

სუტრაზე წამდაუშუმ მოღილოდა ახალ-ახალი საჭმელები (ე. ნინოშ.);

სიხარულია მოღის... წითელ-წითელი ქოლგები (ნ. ლოროქ.);

მირბა-მორბიან მსხვილ-მსხვილი ჰიანტელები (რ. ინან.);

გამოჩენის ეშანობათ წვრილ-წვრილ ვარსკვლავები (ი. ნონ.);

თევზები პატარ-პატარი ღლევაში შესულიყვნენ ქვირითის დასაყრელად (ეფარ.);

და და და და მოხელეებისათვის დღეობის მოხდა სავალდებულო გახადოს (მ. ჯავახ.);

ახალციხე ახალ-ახალი მებრძოლებით იგსებოდა (მ. ჯავახ.);

კატონ და ბაპა შიხა... ბირდაბირით მოკლე-მოკლე მორებიდ ხერხავდნენ (გ. ზატბ.);

ფუძეგანმეორებული განსაზღვრება ბრუნვის ნიშანს დაირთავს მარტივი ფუძის დარად და საზღვრულობან ერთად იცვლება.

ფუძის რედუპლიკაცია მრავალ საინტერესო საკითხს აყენებს. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს განმეორებული ფუძით გაღმოცემული წინადადების მეორეხარისხოვანი წევრი, რომელიც თავის დანიშნულებას აფიქსების დაურთავად ასრულებს.

5 იქნევ, გვ. 116.

6 იქნევ.

7 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 95.

სინტენსის ისტორიაში იცის არაერთი შემთხვევა, როდესაც გაუ-
ფორმებელი ფუძე აღჭურვილია ფორმაციალუბად სახელთა ფუნქციით.
ასეთ ვითარებაში სინტენსურ დამოკიდებულებაშე მიგვანიშნებს სი-
ტყვათა რიგი წინადადებაში. ფორმით მდიდარ თვით ძველ ქართულ
ენაში ბრუნვის ნიშანს არ იჩთავს ადამიანის საკუთარი სახელი სახე-
ლობითსა და მოთხოვნით ბრუნვებში. ექვემდებარებული ნიშანთა უქონ-
ლობის საკომპინაციოდ სახელობითსა და მოთხოვნით ბრუნვებში
დასმულ სახელთა ფუნქციის გამოსაცნობად ძველმა ქართულმა წინა-
დადებაში სიტყვათა მტკიცე რიგი შემოინახა: პირველი აღვილი მო-
თხოვნითში დასმულმა სუბიექტმა დაისაკუთრა, მომდევნო — სახე-
ლობითში დასმულმა ობიექტმა — ისევე, როგორც ეს ამორფულ
ენებშია: ფილიპე ინილი იოვანე (ფრს. 6, 10), პავლე
გამოიჩინა შილა (მოც. 15, 40), ეს რომ შეა არამ
(რუთ. 4, 19)...

სიტყვათა ასეთი რიგი შეირყა ბრუნვის ნიშანთა დართვით: რო-
გორც კი სუბიექტს ან ობიექტს გაუჩინდა ბრუნვის ნიშანი, გაირკვა
მეორე სახელის ფუნქციაც და მოიხსნა საჭიროება მტკიცე რიგისა:
წარგზავნა ისაკ იაკობი (დაბ. 25, 19)... ინილა აღამ
ევმან (ლიტ. ქრ. 6, 11)...

ფუძის გაორკეცება ემსახურება ერთი მეტყველების ნაწილისაგან
მეორის მიღებასაც. არსებით სახელთა ფუძის განმეორებით ვიღებთ
რთულ ზნისართს⁸, რომლის ლექსიკური მნიშვნელობა არ უდრის კომ-
პონენტების მნიშვნელობათი ჯამს.

ქართულ ენაში ზნისართების ერთი ჯგუფი მომდინარეობს არ-
სებით სახელთაგან ბრუნვის ნიშანთა გაქვევებითა და ფუძესთან შერ-
წყმით, ან აღვერბალიზაცია ხდება ზოგი ფუძის რელუპლიკაციით.
ასეთ შემთხვევაში არსებითი სახელის ფუძის გაორკეცებით წინადა-
დებაში გამოიხატება აღვილი, დრო ან ვითარება, რომელთაგან მი-
იღება წინადადების მეორეხარისხოვანი წევრები: ადგილის, დროისა
და ვითარების გარემოებები, შრო. ადგილი და ადგილ-ადგილ,
კარ-ი და კარ-კარ-კარ და კარ, კადელი და კადელ-კა-
დელ, მინდორ-ი და მინდორ-მინდორ, ნაპირ-ი და ნა-
პირ-ნაპირ, ქედ-ი და ქედ-ქედ, წყალ-ი და წყალ-
წყალ-წყალ და წყალ; გზა და გზა-გზა-გზა-გზა, ტურ-

⁸ ა. შანიძე, ძველი ქართული ენა; ა. შანიძე, ა. ბარამიძე, ი. აბუ-
ლაძე, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, თბ., 1936, გვ. 312; ა. კიშირია,
მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბ., 1963, გვ. 115—117.

⁹ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძლები, გვ. 592.

ରୂପ କୁହାର-କୁହାର..., ଶୀଘ୍ରକୁଳ-ର ରୂପ ଶୀଘ୍ରକୁଳ-ଶୀଘ୍ରକୁଳ; ଗର୍ବ-
ନି-ର ରୂପ ଗର୍ବର ରୂପ, ଯେବେ-ର ରୂପ ଯେବେନାଯେବ, ପକ୍ଷେନ-ର ରୂପ
ପକ୍ଷେନିରାପକ୍ଷେନ ରୂପ ଏ.

მნიშვნელობით ადგილ-ი = სივრცის ნაწილი დედამიწის ზედაპირ-ზე, მიღამო..., ა დ გ ო ლ-ა დ გ ო ლ=აქა-იქ, ილაგ-ილაგ...

კარ-ი=შემოზღუდული ადგილის ანდა შენობის, ოთახის (რაიმე სათავსის) შესასვლელის დასახური (ხისა, რკინისა...); კარ-კარ||კარ-დაკარ=კარიდან... კარზე, ერთი სახლიდან მეორეში, — ეჭო-ეჭო... და ა. შ. 10.

ფუძეთა შეერთები ან უკავშიროა (ასინდეტური), ან — კავშირიანი (სინდეტური). მაგალითები:

1. გამოხატულია ასევე

ଦୟର ଗାନ୍ଧୀଙ୍କି, ଉତ୍ସମ୍ରାତ ଶିଳ୍ପୀଙ୍କ, ରାଜପାତ୍ର ଅନ୍ୟାନ୍ୟ ପାତ୍ରଙ୍କିଙ୍କ ପାଇଁ ଯାଏ ଲାଭପାଇଁ

შექმნაც კიდევლ-კედელი იმ სტატუსისაკენ მიიპარება (მ. გავახ.).

მერცხალი... მინდორ-მინდორ დაფრინავთ (ი. გოგებ.).

ଶାତ୍ର ତାଙ୍କିରେ ଉପରୋକ୍ତ ଶ୍ଵେତଲଙ୍ଘନିଟ ଦୀର୍ଘବଳ ମିଳିବାରେ କାହିଁ କାହିଁ ଥାଏନ୍ତିରେ

ლანდები ... ნაპირ-ნაპირ შევიღნენ ტყეში (კ. გამს.).

ფრიად საძნელო გამოდგა ხრისტიან ქად-ქად სვლა (ლ. ვოთ).

ବେଳିନି ... କେ ଏ-କେ ଏ ହୃଦୟରେ ରୁଦ୍ଧ ହେଲାମାତ୍ରଙ୍କାରୀ (ଶ୍ରୀ ପଣ୍ଡିତ).

ପାନ୍ଦୁ...ହିନ୍ଦୁ ଓ ଲୁ-ହିନ୍ଦୁ ଓ ଲୁ ଫିଲ୍‌ମିଲ୍‌ଡା (ସ. ଶାତ୍ରା.).

გალექტრონი ... წყალ-წყალ შემყვავ ლორთქიფანიძეთა წისქვილის არხს („ლიატ. საკ“).

କାହିଁ କାହିଁ ଓ... ଦ୍ୱାରା ଗନ୍ଧ ଓ-ଗନ୍ଧ (ଜାଗା).

ნეტავ თქვენებრ დავლიოდე მ თ ა-მ თ ა, ვეძიებდე მონალიზს კარევბს (ჩ. ბერ.).

მელიამ... წამოყვანა სორო-სორო... ყმაწვილი (ი. გოგები).

ლილი გზა ტუ-ტუ მიღიოდა (B. ჭავახ.).

ଶୀଥିଲ୍ଲାଙ୍କି ... ମନ୍ଦରେଣ୍ଟିସ ଠ ପାତା-ଠ ଫା ଏଲ୍ଲୋରିନା (ଶ. ଶାତକ.).

ይህ ከ ፩-፪ ዓ. ვატාරුට ලබාලනා (ඒ. මගාලු).

କୀର୍ତ୍ତାମ .. ଯଥର୍ଗ୍ୟଥର୍ଗ୍ୟ ପୁନିକଲା ଏବଂ ପୁର୍ବିକ ଧୋଳଙ୍କ ଗ୍ରେ ମନ୍ଦ୍ୟରୀରୀ ଶାଖା

গুরুত.

ଓଲାଙ୍କ ପ୍ରିୟମଣା, କେତେବେଳେ କେତେବେଳେ... ମିଶ୍ରମନ୍ଦିର (ବୀ. ଶାକୁଳୀ)।

¹⁰ ՅՈՒՊԱՐԵՑՈՅ ՔԱՐԴԱԼՈ ԵԲՈՍ ՑԱՆՑԱՐԵՐԵՑԻԹԱ ԸՆԿԵՏՈՎՆՈՅԻ ՀՅԱԼՈՒՄ, ԴԵ., 1950—64.

2. გამოხატულია დრო

მწირისუბნელი...ხალხი ძალიან შრომისმოყვარეა... ის ზაფხულ-ზაფხულ
მიღების სხვა მხარეს (პ. წერ.).

ზამთარ-ზამთარ დაწუნებულს ზაფხულში კი არ მყავს მტერი (აკავი).

3. გამოხატულია ვითარება

კატა... წამოდგვა ჩინგურს, ძირს ჩიმოაგდო და ლუკმალუკმა დაამსხვრია (აკავი).

თუ მოგვაგნეს, სულ ლუკმალუკმა დაგეტლიხენ (ი. გოგებ.).

უნდა ლახხლიჩ კირილე ნაკერ-ნაკერ (ვაჟა).

მარგალიტის ტუპპის ცალი, ტოკავს ბალი ნებანება (გ. ლეონ.).

ნებანება მუკულობებით და სიტყბოებით ვწერთ (გ. ლეონ.).

სინდეტური რედუპლიკაციის გვერდით გვაქვს სინდეტური ოე-
დუპლიკაცია. მნიშვნელობით მათ შორის განსხვავება არ იგრძნობა,
შეაგრძელობა არის რაღაც ნიუანსი, რომლითაც პირები განსხვავდება მეო-
რისაგან. შლრ.: კარ-კარ და კარდაკარ, ქედ-ქედ და ქედ-
ქედ, წყალ-წყალ და წყალდაწყალ, გზა-გზა და
გზა-გზა, დრო-დრო და დრო-დრო...

მაგალითები:

1. გამოხატული ადგილი

დაღის საწყალი კარ დაკარ, მოწყალებას თხოულობს (ვაჟა).

ჩემი საცერი ქედ დაქედ გადმოდიოდა (გამოც.).

ის წყალდაწყალ ხეტბოდა ქვიდან ქვაჩე (გ. წერ.).

გზა-და-გზა ვიგოსებდით ჩევეს საყვარელ ზან მდინარეს (კ. გამს.).

გზა-და-გზა სულ საწყალი პეპისა უბოროტო სიკვლილი მელანდებოდა (ილია).

ტუელი-ტუე მგელივით დადიოდა გაბერტერებული ჭაერისაგან (ვაჟა).

2. გამოხატულია დრო

ტაიგებიდან ნოტიო ქარი დრო და დრო დაბერიას ხოლმე (დ. შენგ.).

ოსმალეთში... საქმე დღე დღე დღე მწვავდება (ილია).

3. გამოხატულია ვითარება

პატრონი ... გულ და გულ ეჭიდება მაკრატელს (აკავი).

თინათინი... გულ და გულ შესდგომოდა სამსონას მოკაზმეს (გ. ნინოშვ.).

მათ უსაცეილობას თავის შვილებს აყურებინებდნენ, რომ მათთვის თვალ-
დათვალ დაენახვებიათ, თუ რა საძაგლობაა (აკავი).

მონაცირე მისკვდა კ ვ ა ლ დ ა კ ვ ა ლ (ეკავი).

მხედრებს კ ვ ა ლ დ ა კ ვ ა ლ მისცველი ტარასი (ჩ. კლდ.).

არამეთხე მოამზგე და ჭირისუფალი ჩამოუვლიდა სოფელს კ თ მ ლ დ ა კ თ მ ლ (გ. შეონ.).

მ ხ ა რ დ ა მ ხ ა რ დასხდნენ („ლიტ. ხევ.“).

კურდღელს ფ ე ს დ ა ფ ე ს მიგწვდი (ეკავი).

ფიღუას ფ ე ს დ ა ფ ე ს მოსცველნენ ბლუნძელაშვილი, მამასახლისი და გზი-რი (ხ. მგალ.).

ქალაქს გარეჯ გაეიდა ც ხ ე ნ დ ა ც ხ ე ნ ელიკო (ეკავი).

მხედარმა ... ც ხ ე ნ დ ა ც ხ ე ნ გაუშვირა თასი ერთ დიდებულთაგანს (ეკავი).

ხ ე ლ დ ა კ ე ლ მოილაპარაკეს მეგობრებმა (კ. ლორთქ.).

ბაბურაულმა ხევსურთა ხ მ ა ლ დ ა ხ მ ა ლ ჩასვლა ურჩია (ვაჟა).

ფუძის რედუპლიკაცია ხშირია ძველ ქართულშიც:

ყოველი, რომელი წმიდამან კრებამან და სხუათა მათ დიდებულთა კრებათა, რომელი ა დ გ ი ლ -ა დ გ ი ლ ქმნენს, განაწესეს (მც. სქ. კან, 127, 9).

ყოველთა მათ მახლობელთა ქუებათა მცირედნა იძოვებდეს დაშენებულ ტავ-თა შინა ა დ გ ი ლ -ა დ გ ი ლ (აგიოგრ. ძეგლ., I, 257, 11).

ე ა მ -ე ა მ ციცი სული ქრიდეს (ძგ. ქართ. ქრესტ. I, 29, 29).

აგზებდეს მღდელი იგი შეშისა ვან თ ი ა ღ -განთიაღ (ლევიტ. 6, 12).

წ უ ზ -შ უ თ გარე-უკმინიხილის (წარტ. 38, 20).

ინტერესს იწვევს ისიც, რომ ზოვი განმეორებული ფუძე მხოლოდ ასინდეტურად იხმარება, ზოვი — მხოლოდ სინდეტურად.

მხოლოდ ასინდეტურია: ა დ გ ი ლ -ა დ გ ი ლ (ა დ გ ი ლ -ა დ გ ი ლ ნიჭი ეტყობოდა და არა: ა დ გ ი ლ დ ა ა დ გ ი ლ ნიჭი ეტყობოდა), კ ე დ მ ლ -კ ე დ ე ლ კ ე დ ე ლ მიიპარება და არა: კ ე დ ე ლ დ ა კ ე დ ე ლ მიიპარება), ნ ა პ ი რ -ნ ა პ ი რ (მიღიოდა ნ ა პ ი რ -ნ ა პ ი რ და არა: მიღიოდა ნ ა პ ი რ დ ა ნ ა პ ი რ), ს თ -რ თ -ს თ რ თ (წამოიყვანა ს ო რ თ -ს ო რ თ და არა: წამოიყვანა ს ო რ თ დ ა ს ო რ თ), ჭ ა ლ -ა ჭ ა ლ ა (ჭ ა ლ -ა ჭ ა ლ ა მივდიოდით და არა: ჭ ა ლ ა დ ა ჭ ა ლ ა მივდიოდით), ჭ ა ფ ხ უ ლ -ჭ ა ფ ხ უ ლ (ჭ ა ფ ხ უ ლ -შ ა ფ ხ უ ლ მიღის და არა: ჭ ა ფ ხ უ ლ დ ა ზ ა ფ ხ უ ლ მიღის), ლ უ კ მ -ა ლ უ კ მ (ლ უ კ მ -ა ლ უ კ მ დამსხვრია და არა: ლ უ კ მ ა დ ა ლ უ კ მ დამსხვრია)... მეორე მხრივ, დამკვიდრებულია ოდენ სინდეტური ფორმები: გ უ ლ დ ა გ უ ლ (გ უ ლ დ ა გ უ ლ ეჭიდება და არა: გ უ ლ -გ უ ლ ეჭიდება), თ ვ ა ლ დ ა თ ვ ა ლ (თ ვ ა ლ დ ა თ ვ ა ლ დაენახვებიათ და არა: თ ვ ა ლ -თ ვ ა ლ დაენახვებიათ), მ ხ ა რ დ ა მ ხ ა რ (მ ხ ა რ დ ა მ ხ ა რ დასხდნენ და არა: მ ხ ა რ მ ხ ა რ დასხდნენ) და ა. შ.

ვაუფლორმებელი ფუძეები გამოიყენება ისეთ შემთხვევაშიც, როცა საპირისპირო ცნებებია შეერთებული:

ზამთარ-ზაფხული ბარადა გდია (ვარა).

ვიცანი მისი ერთთავად ზამთარ-ზაფხული გაცივებული ხმა (კ. ლოჩიტე).

აფიქსთა მნიშვნელობით ფუძის რედუპლიკაცია მის სიძველეზე მიუთითებს და ადრინდელი მოვლენა ჩანს. ცხადია, რედუპლიკაციას არ ექნებოდა ადგილი, თუ ენას აღმოაჩნდებოდა სათანადო აფიქსი, ამიტომ იგი დამოკიდებულების აღმნიშვნელ აფიქსთა დამკვიდრებამდეა ჩამოყალიბებული, რამდენადაც „ის დაპირისპირება, რომელიც ამჟამად არსებობს ფუძესა და აფიქსს შორის, წინათ არ არსებობდა... ყველა ერთეული ლექსიკური იყო, ენაში მხოლოდ ფუძეები გვქონდა“¹¹.

11 ირნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952, გვ. 254.